ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ივნისის 20. № 18 ტფილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

**სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.**

99. ბეჭდების, საჩეკო წიგნაკების და ოფიციალური ბლანკების სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ შენახვის წესის შესახებ.

**სამოქალაქო სამართალი.**

100. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 50 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

**მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.**

**სოფლის მეურნეობა.**

101. 1936 წლის მოსავლისათვის დათესილი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების დასკვნითი ანგარიშების შედგენის შესახებ.

102. საქართველოს სსრ-ში 1936 წელს მეურნეობათა და ოთხფეხი საქონლის საზაფხულო აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

103. 1936 წლის ხილეულის მოსავლის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციისა და დამზადების შესახებ.

104. 1936 წელს სახელმწიფო საქსახჯიშფონდის ხაზით ბაღჩა-ბოსტნეულ კულტურათა თესლის კონტრაქტაციისა და დამზადების შესახებ.

**ვაჭრობა. მომარაგება.**

105. ლითონის გამოუყენებელი რესურსების მობილიზაციისათვის საჭარო ღონისძიებათა შესახებ.

106. 1936 წელს ნაცვენი ბალნის დამზადების გეგმის შესახებ.

107. მძიმე და სატყეო მრეწველობის ნომენკლატურის მიხედვით საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პროდუქციის საგასაცემო ფასების დაწესების გადაცემის შესახებ.

**განათლება.**

108. რკინის გზის დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

**სისხლის სამართალი.**

109. სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის გაუქმებისა და $166^{1}$ მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

110. სისხლის სამართლის კოდექსის 198 მუხლის შეცვლის შესახებ.

131 / 49

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

## 99. დადგენილება ს. კ. ს.

ბეჭდების, საჩეკო წიგნაკების და ოფიციალური ბლანკების სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ შენახვის წესის შესახებ.

ბოროტმოქმედებათა და ყალბი დოკუმენტებისა და ფულადი ჩეკების ყალბად შედგენის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ბეჭდების, საჩეკო წიგნაკების და ოფიციალური ბლანკების (დაწესებულების და თანამდებობის) შენახვის საქმის იმნაირად მოწესრიგება, რომ ისინი ინახებოდენ ცალკეულ დაკეტილ საცავებში.

2. სადერბო ბეჭდები და საჩეკო წიგნაკები უნდა შეინახონ თვით დაწესებულებათა, წამოწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა. შენახვის უფლების გადაცემა შეიძლება მხოლოდ კარგად ნაცადი მუშაკებისათვის, და ეს გადაცემა გაფორმებულ უნდა იქნას ცალკეული ბრძანებებით.

3. ცალკეული ჩეკების, საჩეკო ბლანკების და საჩეკო წიგნაკების დაკარგვის ან გატაცების შემთხვევაში დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებულ არიან დაუყოვნებლივ წერილობით აცნობონ ეს იმ ბანკს, სადაც გახსნილია მიმდინარე ანგარიში ან ანგარიშსწორების ანგარიში, დაკარგული ჩეკების რაოდენობის და ნომრების აღნიშვნით.

4. ამ დადგენილების შეუსრულებლობისა და დაუდევრად შენახვის გამო ცალკეული ჩეკების, საჩეკო ბლანკების (შეუვსებელის) ან საჩეკო წიგნაკების დაკარგვის ან გატაცების შემთხვევაში დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სსრ 117 მუხლის მიხედვით.

ასეთ შემთხვევებში მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1932 წ. ნოემბრის 6-ს დამტკიცებული „ჩეკების შესახებ დებულების“ 29 მუხლის მიხედვით, (კან. კრ. 1929 წ. № 73, მუხ. 696).

5. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ჩაატარონ ბეჭდების, საჩეკო წიგნაკების და და ოფიციალური ბლანკების შენახვის შემოწმება თავიანთ რესპუბლიკაში, ოლქში და რაიონებში და შემოწმების შედეგები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1936 წ. ივნისის 20 ისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. მაისის 31. № 596.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამოქალაქო სამართალი

## 100. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სამოქალაქო სამართლის კოდექსის 50 მუხლისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.**

„სახელმწიფო ორგანოებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის აღძრულ დავათა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების $3^1$ მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-18 №-ი, მუხ. 152) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 50 მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა.

„44 მუხლში აღნიშნული ორგანიზაციების ისეთი მოქმედება, რაც მოწმობს მათ მიერ თავიანთი ვალის აღიარებას, არ წარმოადგენს საფუძველს აღნიშნული მუხლით ამ ორგანიზაციებს შორის აღძრულ დავებზე დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შეწყვეტისათვის“.

სრ. საქ. ცაკ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ივნისის 4ა. № 145/622.
ტფილისი.

---

# მიწის ტყის და წყლის მეურნეობა

# სოფლის მეურნეობა.

## 101. დადგენილება ს.კ.ს.

**1936 წლის მოსავლისათვის დათესილი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების დასკვნითი ანგარიშების შედგენის შესახებ.**

საქართველოს სსრ-ის ადმინისტრატიულ რაიონებში და აგრეთვე ქალაქად და სოფლად ყველა სახელმწიფო და კოოპერაციულ მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებში და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებში 1936 წლის მოსავლისათვის დათესილი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების ოდენობის შესახებ საბოლოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობების გამორკვევის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს საგაზაფხულო თესვის დამთავრებისას ჩაატაროს თავისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით დასკვნითი ანგარიშების შედგენა საქართველოს სსრ-ის ადმინისტრატიული რაიონებისა და აგრეთვე ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობის, კოლმეურნეობის, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობების მიხედვით ქალაქად და სოფლად.

2. მიენდოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებს—ჩაატარონ რაიონულ ცენტრში სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიინსპექტორების მიერ დანიშნულ ვადაზე სოფლის საბჭოების ყველა რწმუნებულის საინსტრუქციო თათბირი ნათესი ფართობების და მრავალწლიანი ნარგავების დასკვნითი ანგარიშის ფორმების შევსების შესახებ.

3. დაევალოს საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, აგრეთვე მუშათა მომარაგების განყოფილებათა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების სხვა მეურნეობათა ხელმძღვანელებს—გამოყონ დასკვნითი ანგარიშის ფორმების შესავსებად სპეციალური პასუხისმგებელი პირნი (ბუხჰალტრები, მოანგარიშეები და სხვა) და უზრუნველყონ მათი გაგზავნა რაიონულ ცენტრში სათანადო ინსტრუქტაჟისა და ნათესების აღრიცხვის ფორმების მისაღებად სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიინსპექტორის მიერ დაწესებულ ვადაზე; წინადადება მიეცეს ამ პირთ წარუდგინონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიინსპექტორს დასკვნითი ანგარიშები არა უგვიანეს 5 დღისა თესვის დამთავრების შემდეგ.

4. დაევალოს სახალხო სამეურნეო აღრიცხვის რაიინსპექტორებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებთან ერთად, შეადგინონ დასკვნითი ანგარიშის შედგენის დაწყების და დამთავრების კალენდარული გეგმები სასოფლო საბჭოებისა და მთლიანად რაიონების მიხედვით იმ ვარაუდით, რომ ნათესი ფართობების დასკვნითი ანგარიშის შედგენა დაწყებულ იქნას არა უგვიანეს 5 დღისა საგაზაფხულო კულტურების თესვის დამთავრების შემდეგ.

5. დაევალოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებს—დაამთავრონ კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობების დასკვნითი ანგარიშისა და სასოფლო საბჭოების ჯამლების შედგენა 10 დღის ვადაზე აღრიცხვის დაწყებიდან.

6. დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსებს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიინსპექტორებს—დაამთავრონ ნათესი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების

დასკვნითი ანგარიშების საფუძველზე რაიონული ჯუმლების შედგენა 20 დღის ვადაზე აღრიცხვის დაწყებიდან და ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების მიერ დამტკიცებული ცნობები ახსნა-განმარტებითი წერილით წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 25-ისა.

7. ნათესი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვის შედეგების შემოწმების მიზნით, დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და აგრეთვე წყალთა მეურნეობის სარაიონო განყოფილებებს აღრიცხვის დაწყებამდე მოამზადონ და გადასცენ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს მთლად საჭირო მასალა, როგორიც არის: 1935 წლის შემოდგომის და 1936 წლის გაზაფხულის თესვის დამტკიცებული გეგმები, ჯიშიანი თესლით დათესილი ფართობების გეგმები, თესვის მიმდინარეობის უკანასკნელი ოპერაციული ანგარიშგების ჯუმლები, სარწყავი მიწების გეგმები თვითეული კოლმეურნეობისა, სასოფლო საბჭოს და მთლიანად რაიონის მიხედვით.

8. სასოფლო საბჭოების მიმართ ოპერაციული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის ნათესი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების დასკვნითი ანგარიშის შედგენის საქმეში დაეკისროს აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—მიამაგრონ თვითეული სასოფლო საბჭოს რაიონული ცენტრიდან პასუხისმგებელი მომუშავეები ამ კამპანიის ჩატარების მთელი დროს განმავლობაში და უზრუნველყონ ისინი მიმოსვლის სათანადო საშუალებებით.

9. დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა, და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ქალაქის საბჭოებს და აგრეთვე სასოფლო საბჭოებს—განიხილონ 1936 წლის მოსავლისათვის დათესილი ფართობების და მრავალწლიანი ნარგავების დასკვნითი ანგარიშების შედეგები ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებზე და სასოფლო საბჭოების პლენუმებზე, შეადარონ-რა ეს ცნობები თესვის გეგმას და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა ოპერაციული ანგარიშგების ცნობებს თესვის მიმდინარეობის შესახებ; უკეთუ აღმოჩნდება განსხვავება და გეგმების არა მთლიანად შესრულება, გამოარკვიონ ამის მიზეზი საეჭვო საბჭოების განმეორებითი შემოწმებით.

10. დაწესებულ იქნას, რომ ის, ვინც არადამაკმაყოფილებლად ჩაატარებს აღრიცხვას, და ის, ვინც დამალავს ნათეს ფართობებს და მრავალწლიან ნარგავებს. მიცემულ უნდა იქნას პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

11. პერსონალი პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ-ში 1936 წლის მოსავლისათვის დათესილი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების დასკვნითი ანგარიშების შედგენის საქმეში დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო-სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს, ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში—ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსებს, რაიონებში—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს.

12. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ჩაატაროს შემოწმება ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორების მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო წამოწყებების, კოლმეურნეობების და სასოფლო საბჭოების მიერ წარმოდგენილი ცნობებისა ნათესი ფართობების ოდენობის შესახებ და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად განსაზღვროს 1936 წლის მოსავლისათვის დათესილი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების ოდენობა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქსა, რაიონებსა და მთლიანად საქართველოს სსრ-ში.

13. საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ განსაზღვრულ ცნობებს მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზირას ფართობების შესახებ ამტკიცებს მოსავლიანობის გამომრკვევი სახელმწიფო კომისიის რწმუნებული არა უგვიანეს 15 დღისა დღიდან დასამტკიცებლად ცნობების წარდგენისა.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ცნობები 1936 წლის მოსავლისათვის დათესილი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების შესახებ არა უგვიანეს აგვისტოს 1-ისა.

1936 წლის მოსავლისათვის დათესილი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგავების საბოლოო ჯამს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი გ. კვირიკაძე.

1936 წ. მაისის 28. № 574.

ტფილისი.

---

## 102. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს სსრ-ში 1936 წელს მეურნეობათა და ოთხფეხი საქონლის საზაფხულო აღრიცხვის ჩატარების შესახებ.**

საქართველოს სსრ-ში 1936 წლის ივნისისათვის არსებული მეურნეობების საერთო რიცხვისა და ოთხფეხი საქონლის რაოდენობის გამოსარკვევად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, „მეურნეობათა და ოთფეხი საქონლის

საზაფხულო აღრიცხვის ჩატარების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ მაისის 3-ის დადგენილებისა და ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ მაისის 14-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—სოფლად სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო აღრიცხვის ჩატარების დროს უზრუნველყოს:

ა) კოლმეურნეობების, კოლმეურნეთა მეურნეობების, ერთპიროვნული მეურნეობების, მუშების, მოსამსახურეებისა და სოფლად მცხოვრები სხვა მოსახლეობის მეურნეობების სრული აღრიცხვა, იმისდამიუხედავად, იბეგრებიან თუ არა ისინი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით;

ბ) „ა“ პუნქტში აღნიშნულ მეურნეობებში ყველა სახისა და ხნის ოთხფეხი საქონლის სრული აღრიცხვა საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით;

გ) იმ რაიონებში, რომლებიც მიერეკებიან ოთხფეხ საქონელს საზაფხულო საძოვრებზე (თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ტფილისის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, მარტვილის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხულოს, ქობულეთის, ქედის, ლენინგორის, და სხვ.) მიავლინოს საგადასახადო კომისიები საქონლის სამყოფელ ადგილას, საქონლის აღრიცხვისათვის ამა დადგენილების მე-12 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში დადგენილ საფუძველზე—ისეთი ვარაუდით, რომ საქონლის აღრიცხვა საზაფხულო საძოვრებზე (იალაღებზე) და სოფლად წარმოებული ასეთივე მუშაობა დამთავრდეს ერთ და იმავე დროს, რისთვისაც საგადასახადო კომისიები ვალდებულ არიან დროით გაემგზავრონ საზაფხულო საძოვრებზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ჩაატაროს იმავე ვადებზე:

ა) საქონლის სრული აღრიცხვა საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა, მუშათა მომარაგების განყოფილებათა მეურნეობებსა, სავაჭრო და სატრანსპორტო წამოწყებებსა, დამამზადებელ და გასასუქებელ პუნქტებსა და „გლავმიასოს“ კომბინატებსა და აგრეთვე ყველა დანარჩენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რომელსაც ჰყავს პროდუქტული და მუშა საქონელი სოფლად და ქალაქად;

ბ) კერძო მფლობელობაში მყოფი საქონლის, ნათესი ფართობების, ბაღებისა და ვენახების აღრიცხვა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში იმ სიის მიხედვით, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ;

გ) მეურნეობებისა და საქონლის მთელი რაოდენობის აღრიცხვა ზემო-სვანეთის რაიონში და აგრეთვე დუშეთის რაიონის ოთხ სასოფლო-საბჭოში (ხევსურეთი), რომლებიც განთავისუფლებულ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან.

3. დაევალოს მე-2 მუხლის „ა„ პუნქტში აღნიშნულ მეურნეობების,—წამოწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთ, მათი პირადი პასუხისმგებლობით, წარუდგინონ 1936 წ. ივნისის 10-თვის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ან საქალაქო ინსპექტორებს ზედმიწევნითი და მათ მიერ პირადად შემოწმებული ცნობები აღნიშნული მეურნეობების კუთვნილი საქონლის რაოდენობის შესახებ 1936 წლის ივნისის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

ამის გარდა, დაევალოს საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპმეურნეობების დირექტორებს—იმავე ვადაზე წარადგინონ ცნობები საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპმეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობებისა და მათი კუთვნილი საქონლის რაოდენობის შესახებ.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—ჩაატარონ თავიანთი სახსარით, საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმებით, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების ტერიტორიაზე კერძო მფლობელობაში მყოფი საქონლის, ნათესი ფართობების, ბაღებისა და ვენახების აღრიცხვა.

5. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—უზრუნველყონ ოპერაციული ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო სამმართველოს ორგანოების მიერ მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის ჩატარებისათვის, და გამოყონ ამ ორგანოების განკარგულებაში საააღრიცხვო კამპანიისა და აღრიცხვის მასალების დამუშავების დროისათვის ნაცადი და ტექნიკურად მომზადებული მომუშავენი და საჭირო სამიმოსვლო საშუალებანი.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულებად მეურნეობათა და საქონლის აღრიცხვის ჩატარების საქმეში რაიონებში დაინიშნონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეები, რომლებსაც დაეკისროს პირადი პასუხისმგებლობა ამ აღრიცხვის თავის დროზე და წარმატებით ჩატარებისათვის.

7. მივლინებულ და მიმაგრებულ იქნან ქვემოთ ჩამოთვლილ რაიონებზე პასუხისმგებელი მომუშავეები, რომლებსაც დაევალოს დახმარების გაწევა რაიონებისათვის და აგრეთვე საააღრიცხვო კამპანიის მსვლელობისა და აღრიცხვის მასალების დამუშავების ხელმძღვანელობა და კონტროლის გაწევა. მობილიზებულ იქნან ამ მიზნით საქაღრიცხვის სამმართველოს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში 15 პასუხისმგებელი მომუშავე ამასთანავე დაეკისროს სიაში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს უზრუნველყონ მივლინებული მომუშავეები საჭირო სახსარით საააღრიცხვო კომპანიის ჩატარების განმავლობაში.

ამის გარდა, დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შიამაგრონ თვითეულ სასოფლო საბჭოზე იმავე მიზნით თავისი სპეციალური რწმუნებული.

8. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელკომიტეტებს-ჩაატარონ ამა დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნულ რწმუნებულთა მიმაგრება მათი რესპუბლიკებისა და ოლქის რაიონებსა და სასოფლო საბჭოებზე.

9. პერსონალური პასუხისმგებლობა მეურნეობებისა და საქონლის სწორი და სრული აღრიცხვისათვის დაეკისროს: საქართველოს სსრ-ში ფინანსთა სახალხო კომისარს (ამხ. ხოშტარიას) და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს (ამხ. დვალს), აფხაზეთის ასსრ-ში—ფინანსთა სახალხო კომისართ რწმუნებულს (ამხ. სანდლერს) და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს (ამხ. პეტროსიანს), აჭარის ასსრ-ში—ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (ამხ. ზაქარიაძეს) და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს (ამხ. საბაშვილს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში —ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (ამხ. ბერძენიას) და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს (ამხ. პლიევს).

10. დაევალოს სარაიონო საფინანსო განყოფილებებს და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს—ჩაატარონ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების, მდივნების და მოანგარიშეების, სოფლის საგადასახადო კომისიის წევრების, სასოფლო საბჭოს საფინანსო სექციის წევრებისა და კოლმეურნეობათა მოანგარიშეების ინსტრუქტირება მეურნეობისა და საქონლის აღრიცხვის ორგანიზაციისა და ჩატარების ტექნიკისათვის.

11. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველყონ არა უგვიანეს 1936 წლის მაისის 25-ისა კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების აღრიცხვის ჟურნალებით (ფ. № 1) და მეურნეობათა დავთრებით (ფ. № 2, 3, 4 და 4-ა) ის სასოფლო საბჭოები, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ ეს ჟურნალი და დავთარი. თანაც წინადადება მიეცეს ყველა სასოფლო საბჭოს გაუხსნას აღნიშნულ დავთრებში პირადი ანგარიში ყველა მეურნეობას და შეიტანოს შიგ ყველა საჭირო ცნობა მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად.

12. საფინანსო ორგანოებისა და სასოფლო-საბჭოების მიერ მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის ჩატარებისათვის დადგენილ იქნას შემდეგი წესი:

ა) კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეობის განსაზღვადოებული საქონლის აღრიცხვას აწარმოებენ უშუალოდ სარაიონო საფინანსო განყოფილებანი;

ბ) კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვას აწარმოებენ სასოფლო საბჭოები სასოფლო საგადასახადო კომისიების დახმარებით, რომელთა შედგენილობას ამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი; აღრიცხვის სრულიად და სისწორით ჩატარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს;

გ) საზაფხულო საძოვრებზე მყოფი საქონლის (რაიონის გარეშე გარეკილი საქონლის ჩათვლით) აღრიცხვას ნატურით აწარმოებენ სოფლის საბჭოები, რაისაფინანსო განყოფილების გამგისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორის უშუალო ხელმძღვანელობით;

დ) სასოფლო საბჭო აწარმოებს მეურნეობათა მთლიან დაკითხვას და დაკითხვის ცნობების შემოწმებას 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, 1936 წლის კულტგამოსაღების, 1935 წლის იანვარის 1-თვის საქონლის აღწერის და სხვ. მასალებთან, რის შემდეგ გადააქვს დაკითხვის ცნობები განსახილველად სოფლის საბჭოს პლენუმზე, აქტივის მონაწილეობით, და პლენუმს შეაქვს საჭირო შესწორებანი;

ე) სასოფლო საბჭოების პლენუმის აღრიცხვის შედეგების განხილვის შემდეგ სარაიონო საფინანსო განყოფილება, სპეციალური ბრიგადების მეშვეობით თვითეულ დასახლებულ პუნქტში აწარმოებს აღრიცხვის სისრულისა და სისწორის საკონტროლო შემოწმებას კომლების შემოვლისა და საქონლის ნატურად დათვლით; საკონტროლო შემოწმება ჩატარდება მთლიანად ყველა ერთპიროვნულ მეურნეობაში და კოლმეურნეების მეურნეობათა 10-15%-ში. უკეთუ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობანი, სასოფლო-საბჭო მოახდენს ხელახალ მთლიან აღრიცხვას;

ვ) აღრიცხვისა და ყველა შესამოწმებელ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ სასოფლო-საბჭო შეადგენს მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის შედეგების ჯამობრივ სიას (ფ. № 43) და გადასცემს სარაიონო საფინანსო განყოფილებას.

**13.** დაევალოს სარაიონო საფინანსო განყოფილებებს—მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის საშედეგო ჯუმლები, მათ მიერ დამტკიცებული, გადასცენ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს არა უგვიანეს 2 დღისა ჯუმლების მიღების დღიდან.

**14.** დაევალოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს სარაიონო საფინანსო განყოფილებისაგან საქონლის აღრიცხვის ჯუმლების მიღებისათანავე, ჩაატარონ სპეციალური შემმოწმებელი ბრიგადების მეშვეობით, მეურნეობათა საკონტროლო ჩამოვლა საქონლის ნატურად დათვლით, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსაგან მიღებულ მითითებათა შესაბამისად. შემმოწმებელი ბრიგადების ხელმძღვანელნი უნდა დანიშნონ სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქალაქო საბჭოებმა სარაიონო და საქალაქო აქტივის შედგენილობიდან სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორის წარდგენით. ბრიგადის დანარჩენი წევრები შერჩეულ უნდა იქნან კოლმეურნეთა აქტივის შედგენილობიდან და საბჭოთა, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს —უზრუნველყონ საკონტროლო ბრიგადები საჭირო სამიმოსვლო საშუალებით მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის შედეგების საკონტროლო შემოწმების წარმატებით და თავის დროზე ჩასატარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**15.** კოლმეურნეების, ერთპიროვნული მეურნეების, მუშების, მოსამსახურეებისა და დანარჩენი მოსახლეობის მეურნეობათა საკონტროლო შემოვლით გარემოცულ უნდა იქნას მთელი სასოფლო საბჭო ან დასახლებული პუნქტი—ისე, რომ თვითეულ რაიონში შემოწმდეს არა ნაკლებ, ვიდრე მეურნეობათა საერთო რიცხვის 15 პროცენტი.

დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებს და 1 მუხლის „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ საზაფხულო საძოვრების ძირითად მასივებზე საქონლის ნატურად აღრიცხვის შედეგების საკონტროლო შემოწმება, რისთვისაც სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა მიავლინონ ამ საძოვრებზე სპეციალური ბრიგადები საკონტროლო შემოვლის ჩატარებისათვის საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს საინსტრუქციო მითითებათა თანახმად.

**16.** დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში აღრიცხვის დამთავრებისათანავე—ჩაატარონ მეურნეობათა საკონტროლო შემოვლა საქონლის ნატურად შემოწმებისათვის, რითაც მოცულ უნდა იქნას არა ნაკლებ, ვიდრე სახლმფლობელობათა საერთო რიცხვის 20 პროცენტი. სახლმფლობელობათა შემოვლას აწარმოებენ შემმოწმებელი ბრიგადები საქალაქო საბჭოს წევრების მეთაურობით.

**17.** მეურნეობათა და საქონლის აღრიცხვა სოფლის საბჭოებში დაწყებულ იქნას არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 5-ისა და დამთავრდეს მთელ რესპუბლიკაში საქონლის შემოწმების სამუშაოთა (მუხ. 15 და 16) და სასოფლო საბჭოების ჯამების შედგენის ჩათვლით, ა/წ. ივლისის 5-თვის.

**18.** დაწესებულ იქნას, რომ სარაიონო საფინანსო განყოფილებანი და აღრიცხვის ინსპექტორები საქონლის აღრიცხვის ჯამებსა და საკონტროლო შემოვლის შედეგებს მოახსენებენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, რომლებიც წარდგენილი ჯამების საფუძველზე დაამუშავებენ სპეციალურ ღონისძიებებს მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

**19.** დაწესებულ იქნას, რომ მეურნეობათა და საქონლის აღრიცხვის საიონო ჯამები მეცხოველეობის მდგომარეობის ანალიზით უნდა ჩააბარონ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიონულმა ინსპექტორებმა რაიაღმასკომების თავმჯდომარეების თანდასწრებით, რომელნიც გამოძახებულ იქნებიან საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებთან ერთად.

**20.** დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, წარმოადგინოს მეურნეობათა და საქონლის აღრიცხვის წინასწარი ჯამები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში ა/წ. აგვისტოს 1-ს.

21. დაწესებულ იქნას, რომ სახელმწიფო აღრიცხვისაგან მეურნეობების და საქონლის გადამალვაში დამნაშავე პირნი და აგრეთვე სააღრიცხვო სამუშაოთა ცუდად ჩატარებაში დამნაშავე პირნი, უკეთუ ეს გამოიწვევს მეურნეობების და საქონლის არა სრულ აღრიცხვას, მიიცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

22. აიკრძალოს სააღრიცხვო კამპანიის მთელი ვადის განმავლობაში ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოების იმ მომუშავეთა მობილიზაცია, რომელნიც ჩაბმულ იქნებიან მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის ჩატარებაში, სხვა რომელიმე სამეურნეო კომპანიისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. მაისის 31. № 595.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 127 № 1936 წ. ივნისის 3.

---

## 103. დადგენილება ს.კ.ს.

**1936 წლის ხილეულის მოსავლის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციისა და დამზადების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თესლოვანი და კურკოვანი ხილის, შავი ქლიავისა და თხილის სახელმწიფო სავალდებულო კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 1936 წელში მიღებულ იქნას შემდეგი რაოდენობით (ტონობით):

| | |
|---|---|
| 1. თესლოვანი ხილის . . . . . . | 9400 |
| 2. კურკოვანი „ . . . . . . | 1850 |
| 3. თხილის . . . . . . . . . | 650 |
| 4. შავი ქლიავის „ . . . . . . | 100 |

ამასთანავე აღნიშნული რაოდენობა განაწილებულ იქნას რაიონებსა და დამამზადებელ ორგანიზაციათა შორის დართული ცხრილის მიხედვით.

2. ძალაში დარჩეს 1936 წლისათვის 1935 წელში მოქმედი ხილეულის დამზადებათა საკონტრაქტაციო (სახელშეკრულებო) სისტემა და ამ დამზადებათა სახელმწიფო გეგმით განხორციელების წესი, რაც საქართველოს სსრ-ში 1935 წ. მოქმედობდა.

3. ხილის კონტრაქტაცია და სახელმწიფო დამზადების გეგმის შესრულება დაევალოს ძირითად დამამზადებლებს: საქკონსერვხილტრესტს, საქხილბოსტანს (ცეკავშირი), ტფილკვებვაჭრობას—სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონების ფარგლებში, ხოლო აფხაზეთის ასსრ-ში—აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო პრო-

დუქტების დამზადებას „აბსელზაგოტ"-ს, აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს „აბსოიუზ"-ს და სოხუმის საკონსერვო ქარხანას.

4. დატოვებულ იქნას 1936 წლისათვის თესლოვანი და კურკოვანი ხილისა და თხილის კონტრაქტაციით ჩაბარების ნორმები საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის, რაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მაისის 6-ის თარიღისა და 570 №-ის დადგენილებით (ოქმი № 9. 1935 წ. 29 მაისისა).

5. დაწესდეს, რომ:

ა) ის რაიონები, რომლებიც სამომხმარებლო კოოპერაციისათვის (საქხილბოსტანი და აბსოიუზი) გამოყოფილ იქნა 1935 წელში, მიმაგრებულ იქნას მათზედ 1936 წელშიც;

ბ) საქკონსერვხილტრესტის საკონსერვო ქარხნების და ხილის გადამუშავების წამოწყებების 1936 წლის საწარმოო გეგმების სრული უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 27 აპრილის თარიღისა და № 411 დადგენილებით განსაზღვრული წესის მიხედვით მიმაგრებულ იქნას საქკონსერხილტრესტზედ: გორის, ქუთაისის, სამტრედიის, ჩოხატაურის, ტყიბულის, მახარაძის და ზუგდიდის (თხილი) რაიონები, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთი და აგრეთვე აჭარციტრუსხილტრესტისათვის აჭარაში გამოყოფილი რიონები.

6. დაწესდეს, რომ სარაიონო კავშირები და სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებები ხილის დეცდამზადებას აწარმოებენ ყველა მათ საწესდებო მოქმედების რაიონში.

7. დაევალოს ძირითად დამზადებლებს—თესლოვანი და კურკოვანი ხილის, თხილის და შავი ქლიავის სავალდებულო კონტრაქტაცია დაამთავრონ არა უგვიანეს ა/წლის 1 ივნისისა და კონტრაქტაციასთან ერთად აწარმოონ მწარმოებლებთან ხილის პროდუქციის შესყიდვა სამეურნეო ხელშეკრულებების დადებით.

კონტრაქტაციის ხანგრძლივი ხელშეკრულებები, დადებული 1935 წელში მწარმოებლებთან, დაზუსტებულ უნდა იქნას ახალი საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით 1936 წლის მოსავალზედ ამ დადგენილებისა და ტიპური ხელშეკრულებების თანახმად.

ძირითადი დამზადებლები ვალდებულნი არიან სახელმწიფო გეგმის შესრულების მიზნით აითვისონ 1935 წლ. კონტრაქტაციით მთელი მსხმოიარე ფართობები მათზედ მიმაგრებულ რაიონებში.

8. ნება მიეცეს ყველა დამზადებელ ორგანიზაციას დადოს კოლმეურნეობებთან ხანგრძლივი ვადით ხელშეკრულებანი ხილის შესყიდვის შესახებ, აგროსაწარმოო დახმარების გაწევის საფუძველზე; ამასთანავე ეს დახმარება მიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულ უნდა იქნას მოსავლიანობის გადიდებისაკენ, ხოლო იმ პირობით, რომ შესყიდვა და აგრო-დახმარება შეცვლილ არ იქნას ბალების იჯარით.

9. ნება დაერთოს ძირითად დამმზადებლებს, რომლებიც ხილის კონტრაქტაციას განახორციელებენ, აგრეთვე შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციებს, რომლებიც დამზადებას სამეურნეო ხელშეკრულებებით აწარმოებენ, მისცენ კონტრაქტანტებს და მწარმოებლებს ბალების მოსავლელად ავანსი ყოველ დაკონტრაქტებულ და სამეურნეო ხელშეკრულებებით შესყიდულ ტონაზე (მანეთობით):

| | კონტრაქტაციით | სამეურნეო ხელშეკრულებით |
|---|---|---|
| თესლოვან და კურკოვან ხილზე . . . . | 175 | 75 |
| თხილზე და შავ ქლიავზე . . . . . . . | 350 | — |

ავანსები უნდა გაიცეს: ხელშეკრულების დადების დროს—50% რაოდენობით, ხოლო ნაყოფის გამოსახვის და მოსავლის გამორკვევის შემდეგ—დანარჩენი 50%.

10. დაევალოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას გასცეს ხილის საკონტრაქტაციო ავანსების დამამზადებელ ორგანიზაციებს და აგრეთვე ავანსები—სამეურნეო ხელშეკრულებით ხილის შესასყიდად იმ რაოდენობით, რაც განსაზღვრულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის მიერ საქართველოს სსრ-ში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ხ. მებუკე.**

1936 წ. მაისის 13. № 486.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი.

## 1936 წლის ხილის მოსავლის სავალდებულო კონტრაქტაციის და დამზადების სახელმწიფო გეგმა (ტონობით)

| ძირითადი დამამზადებლები და დამზადების რაიონები | თესლოვანი | | კურკოვანი | | თხილი | შავი ქლიავი [ჩირი] |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის საბჭ. მეურნ. | სულ | მათ შორის საბჭ. მეურნ. | | |
| საქკონსერვხილტრესტი | | | | | | |
| გორის რაიონი | 3400 | 10 | 500 | 20 | — | — |
| ქუთაისის " | 500 | — | 380 | — | — | — |
| სამტრედიის " | 150 | — | 400 | — | — | — |
| ტყიბულის " | 500 | — | 150 | — | — | — |
| მახარაძის " | 350 | — | 60 | — | 180 | — |
| ჩოხატაურის " | 100 | — | 110 | — | 60 | — |
| ზუგდიდის " | — | — | — | — | 210 | — |
| აჭარის ავტ. სსრ | 100 | — | — | — | — | — |
| სამხ.-ოსეთის ავტ. ოლქი | 450 | 70 | — | — | — | — |
| სულ საქკონსერვხილტრესტის გეგმა | 5550 | 80 | 1600 | 20 | 450 | — |
| საქხილბოსტანი. | | | | | | |
| ახალციხის რაიონი | 550 | 50 | — | — | — | — |
| ადიგენის " | 550 | 50 | — | — | — | — |
| ასპინძის " | 250 | — | — | — | — | — |
| ხაშურის " | 350 | 10 | — | — | — | — |
| კასპის " | 200 | — | 50 | — | — | — |
| ვანის " | 350 | 20 | — | — | — | — |
| ცაგერის " | 150 | — | — | — | — | — |
| ლანჩხუთის " | 200 | — | 50 | — | — | — |
| აჭარის ავტ. სსრ | 250 | — | — | — | — | — |
| სულ საქხილბოსტნის გეგმა | 2850 | 140 | 100 | — | — | — |
| ლუქსემბურგის რაიონი | | — | 100 | — | — | — |
| ახსრ აფხაზეთი | | | | | | |
| სოხუმის საკონსერვო ქარხანა | 450 | 80 | 50 | — | — | — |
| აფკავშირი | 330 | — | — | — | — | — |
